



KA021704009780018

სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა  
ტელ: (+995 32) 2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia  
Tel: (+995 32) 2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

N4/527


04 / იანვარი / 2019 წ.

შპს "ინტერნეიშენალ ივენთს".  
მის: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა N 1

თქვენი 23.10.2018 წლის N5/18 (სააგენტოს რეგისტრ. N110324/04) და 07.11.2018 წლის N5/18 (სააგენტოს რეგისტრ. N116041/04) წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი-სამართლებრივი გარემოებების შეფასების, ასევე შპს „ინტერნეიშენალ ივენთსის“ (ს/ნ N202250768) წარმოდგენილ არგუმენტებზე დაყრდნობით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში: სააგენტო) მიზანშეწონილად არ მიაჩნია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე: სააგენტო) და შპს „ინტერნეიშენალ ივენთს“ შორის, შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ (ს/ნ N203836625) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე, 2007 წლის 27 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეცვლის/გადავადების თაობაზე მსჯელობისა და ამავე ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ინტერნეიშენალ ივენთსზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე, საკითხის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის მიზნით განახორციელოს შემდგომი ქმედებები.

ზემოხსენებულის და იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს 20.12.2016 წლის N4/64812, 17.07.2017 წლის 4/35755, 22.01.2018 წლის 4/3674 წერილებით არაერთხელ გეთხოვათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, ასევე ვალდებულებების შესასრულებლად განგესაზღვრათ დამატებითი ვადა და მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით შპს „ინტერნეიშენალ ივენთსს“ ერიცხება 8 წლის განმავლობაში გადაუხდელი მართვის საზღაურის დავალიანება, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროდან შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო, ხელშეკრულების 6.2 მუხლის თანახმად სააგენტო იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

იოსებ ოქრომელიძე